

კანცელარია

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ზოგადი დებულებანი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კანცელარია წარმოადგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების, ამ დებულებებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დებულება განსაზღვრავს კანცელარიის ფუნქციებსა და საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.

2. ფუნქციები

კანცელარია რეგისტრაციაში ატარებს:

სტუ-ში შემოსულ წერილებს;

სტუ-დან გასულ წერილებს;

განცხადებებს;

ავტორეფერატებს;

ბრძანებებს სტუდენტური შემადგენლობის შესახებ;

ბრძანებებს სასწავლო-მეთოდურ საკითხებზე;

ბრძანებებს სამეცნიერო კვლევითი მუშაობის შესახებ;

ბრძანებებს მივლინების შესახებ;

აკადემიური საბჭოს მიერ მიღებულ დადგენილებებს.

3. განყოფილების სტრუქტურა

კანცელარიას ხელმძღვანელობს კანცელარიის უფროსი.

კანცელარიაში სპეციალისტების რაოდენობა განისაზღვრება სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული სტრუქტურის შესაბამისად.

კანცელარიის თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ანთავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

კანცელარიის უფროსი ანგარიშვალდებულია სტუ-ს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე.

4. დასკვნითი დებულებები

დებულება ძალაშია სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.

დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების ან/და განყოფილების ლიკვიდაციის შემთხვევაში.